№ 233
შაბათი, 31 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 233
შაბათი, 31 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

მეორმოცე დღეს

მინაი ივანეს ძის მირზოევის

გარდაცვალებისას

კვირას, 1 ნოემბერს, ვანქის ტაძარში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი· წირვა დაიწყება დილის $10^1/_2$ საათზედ, ხოლო პანაშვიდი—ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზედ. (2—166—1)

ექიმი
ი·დ· ბეგთაბეგოვი
გადავიდა ძველის სადგომიდგან გიორგიევის(ქვაშვეთის) ქუჩაზედ, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, არჯევანიძის სახლში, № 11.
(3—უ—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову·
(წ)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**
(—6.—17)

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—10)

ახალი ამბავი

⁂ მოსკოვიდგან გვატყობინებენ, რომ ბ-ნი ა. ხახანაშვილი, ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი, ავად არისო. ერთი თვეა, რაც ხმა წაუვიდა, სიცხე აქვს და ახველებს. ეს ავადმყოფობა თუ კიდევ გაგრძელდა, ექიმების რჩევით, იგი ორის თვით ან ქაირში უნდა წავიდეს და ან სოხუმშიო.

⁂ გუშინ, 30 ოქტომბერს, ტფილისის რკინის გზათა დირექტორმა შეიტანა ქალაქის კასსაში გირაოდ 100,000 მანეთი და გუშინვე შეუდგა წყნეთის ქუჩაზედ ცხენის რკინის გზის შტოს გაყვანას. ამ შტოს გაყვანას ორ კვირას მოუნდებიან.

⁂ დღეს, 31 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობისა და უსახელო საზოგადოების წარმომადგენელის რობის მიერ ხელ-მოწერილ ხელშეკრულობას გაუგზავნიან ტფილისის გუბერნატორს კავკასიის მთავარ-მართებელთან წარსადგენად და დასამტკიცებლად.

⁂ ორშაბათს, 2 ნოემბერს, კრებაზედ, ქალაქის საბჭო, სხვათა შორის განიხილავს შემდეგ საქმეებს: გამგეობის მოხსენებას, წყლის მილის სახელოსნოსათვის საკუთარის შენობის აგების შესახებ; ხმოსანის ნ. ა. ხუდადოვის წინადადებას, სახალხო თეატრისათვის მიწის ნაჭერის დათმობის შესახებ და სხვა.

⁂ ტფილისში მოვიდა და დარჩება აქ ორი კვირა ცნობილი ჰიპნოტიზორი ო. ი. ფელდმანი. ბ-ნი ფელდმანი დაბადებით ტფილისელია და ბევრს დღესაც ახსოვს, რომ ამ თოთხმეტის, თუ მეტ-ნაკლების, წლის წინად აქ, ტფილისში რამდენიმე სეანსი ჰქონდა გამართული ჰიპნოსისა და ყველას აოცებდა. მას შემდეგ თითქმის მთელი ევროპა მოუვლია, ამერიკაშიაც კი ყოფილა, უსწავლია მკურნალობა და ბოლოს სამუდამოდ დასახლებულა პეტერბურგში, საცა მკურნალობს თურმე. აწ პეტერბურგიდამ ტფილისის ზოგიერთს სნეულებს მოუწვევიათ ბ-ნი ფელდმანი და ამ მიზეზით იგი ჩამოსულა ტფილისში.

⁂ გუშინ წინ, 29 ოქტომბერს, ბოქაულმა გლებოვმა აღმოაჩინა ტფილისში ქარხანა, სადაც ყალბს ოქროსა და ვერცხლის ფულსა სჭრიდნენ. მანქანები და რამდენისამე ათასის მანეთის ფული ბოქაულმა დაბეჭდა. ყალბის ფულის ერთი მჭრელთაგანი, სომეხი, დაპატიმრებულ იქმნა.

⁂ 28 ოქტომბერს კრება უნდა ჰქონოდა საეურნეო საზოგადოების მიერ ამორჩეულ იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისის საბაღოსნო სკოლის საქმეთა განხილვა და ამ სკოლის გამგის დანიშვნა, მაგრამ ეს კრება არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი წევრებისა არ შეიკრიბა.

⁂ რადგანაც ახალციხის საბჭოს ხმოსნებს სამსახურის ვადა გაუვიდათ, გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნ მოსესოვს შეადგინოს იმ სახლის პატრონთა სია, რომელთაც აღმომრჩევლობის უფლება აქვთ და გამოაცხადოს ეს საყოველთაოდ მომავალ ნოემბრის 15-მდე.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ პირველ ნოემბრიდგან სამხედრო-საისტორიო მუზეის შენობაში სურათების გამოფენა იქმნება გამართული, რომლის შემოსავალიც გადაიდება უსინათლოთა სასარგებლოდ. პირველ ნოემბერს გამოფენა დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზედ და გასტანს 4 საათამდე; შემდეგ დღეებში კი დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 4 საათამდე, გამოფენის დათვალიერება ეღირება 30 კაპეიკი, მოსწავლეთა და ბავშვთათვის 15 კაპ.; ორშაბათობით—50 და 30—კაპ.

⁂ გუშინ ვწერდით, რომ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ შეამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე ამიერ-კავკასიაში გზების განკარგების შესახებაო. შუამდგომლობაში ჩამოთვლილია ის გზები, რომელნიც განკარგებას საჭიროებენ. საზოგადოების აზრით საჭიროა, რომ ბეგარა გზების შესაკეთებლად გაუქმებულ იქმნას და იმის ნაცვლად ფულად გარდასახადი დაედოს მცხოვრებელთ. გარდა ამისა, საზოგადოება საჭიროდ სცნობს, რომ ამ საქმის საწარმოებლად და განსაგებად, ერობის შემოღებამდე, შემდგარ იქმნას ადგილობრივ სოფლის მეურნეთა, მწარმოებელთა და ხაზინის ამკრებ ინსპექტორთაგან, გუბერნატორების თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული საგუბერნიო საგზაო კომიტეტები.

⁂ 9 ნოემბერს ახალციხეში ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესსია, სხვათა შორის, განიხილავს ადგილობრივის მემამულის ივ. მეფისაშვილის მოკვლის საქმეს. ბრალი ედება შვიდ კაცს. მათ შორის ერთი მოკლულის ძმაა.

⁂ ეს რამდენიმე დღეა ტფილისში ჩამოვიდა და თავად-აზნაურთა თეატრში წარმოდგენებსა ჰმართავს მალაროსთა დასი. დასმა სულ ოთხიხუთი წარმოდგენა გამართა, მაგრამ უკვე საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ყველა წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა, არტისტები ხელოვნუ-

ფელეტონი

ჩემი საათი

(პაწია საყურადღებო ამბავი)

მარკ ტვენისა

ჩემი მშვენიერი ახალი საათი მთელ წელიწადს ჩინებულად დადიოდა, არც ერთხელ უკან არ დარჩენილა და არც ერთხელ წინ არ წასულა. ამ საათის გულ-ღვიძლის არც ერთი ნაწილი ჯერ არ გაფუჭებულიყო და თვით საათიც არც ერთხელ არ გაჩერებულა. ამ ერთის წლის განმავლობაში ისე მივეჩვიე ჩემს საათს, რომ ჯერ ერთი იმის სიმართლეში დავრწმუნდი და, გარდა ამისა, დავრწმუნდი იმაშიაც, რომ ეს საათი მთელს საუკუნეს გასძლებს, არც მოიშლება და არც გაჩერდება.

მაგრამ ერთხელ საღამოთი საათის მომართვა დამავიწყდა, ძლიერ შევწუხდი, თითქოს ეს ამბავი წინასწარმეტყველი ყოფილიყო დიდის უბედურებისა. ცოტა ხანს შემდეგ ეს უსიამოვნო ამბავი დამავიწყდა კიდეც; მოვმართე საათი, დავაყენე, როგორც მოხდა და ამ გვარად დავახწიე თავი უსიამოვნო გრძნობას.

მეორე დღეს შევედი ერთს მესაათესთან, მინდოდა ჩემი საათი სწორედ დამეყენებინა. მესაათემ გამომართვა ხელიდგან საათი და სთქვა:

— ეს საათი ოთხის წუთით უკანა რჩება; „ორთაყვირი“ უნდა გადავწიოთო.

მე ვეცადე ხელი შემეშალა ამ ბოროტ-მოქმედებისათვის, ვეცადე დამერწმუნებინა, რომ ჩემი საათი მშვენივრად დადის, მაგრამ ჩემმა ცდამ ამაოდ ჩაიარა: ამ სულის მტერმა მესაათემ მხოლოდ ის იცოდა, რომ საათი უკანა რჩება ოთხის წუთით და ორთაყვირი უნდა გადაეწია. და რა გგონიათ, სრულიად მშვიდადა და აუღელვებლად ჩაიდინა ამ ავაზაკმა ეს საშინელი სიბოროტე, ვიდრე მე იქვე ვტრიალებდი და ვემუდარებოდი, ჩემის საათისათვის თავი დაენებებინა. ჩემმა საათმა სიარულს მოუმატა, დღითი დღე მოუჩქარა. ჯერ ერთი კვირა არ გასულიყო, რომ საშინელი სიცხე მისცა, ძლიერ გახურდა. ასე რომ ჩრდილში 150 გრადუსი სიცხე ჰქონდა. ორის თვის შემდეგ ჩემს საათს ძლიერ შორს ჩამორჩნენ ყველა საათები, რომლებიც კი ჩვენს ქალაქში იყო. ასე იფიქრეთ, რომ თვით კალენდარს 13 დღით გაასწრო. ჩემის საათისათვის ეხლა უკვე ზამთარი უნდა ყოფილიყო, თოვლიც მოსულიყო, ნამდვილად კი ჯერ ქარი ისევ ოქტომბრის ფოთლებს აშრიალებდა. ისე მალე მოიყვანდა ხოლმე ჩემი საათი სახლის ქირის მიცემის დროსა, სხვა ვალების გარდახდის დროს და ამ გვარ სხვა უსიამოვნო ამბავს, რომ მშვიდობა სულისა დამეკარგა და წაველი ეხლა მეორე მესაათესთან.

ამ მესაათემ მკითხა: ჯერ ხომ არავისარვის მიგიტანია გასაკეთებლადაო. ვუპასუხე, რომ არა. აქამდე ისე კარგად დადიოდა, რომ არავითარი შეკეთება საჭირო არა ყოფილა, მესაათეს აღტაცებისაგან თვალები გაუბრწყინდა, საჩქაროდ აჰხადა საათის ყუფსა, თვალზე პაწია შუშა მიიკრა გასინჯა საათი და გამომიცხადა: საჭიროა ეს საათი კარგად გავწმინდო, ზეთი წავუსვა და მოვმართოვო,— ერთის კვირის შემდეგ შეგიძლიანთ წაიღოთო,—მითხრა.

გაწმენდისა, ზეთის წასმისა და მომართვის შემდეგ საათმა უფრო უკლო სიარულს და ისე მძიმედ აკაკუნებდა, თითქო მიცვალებულის პანაშვიდზედ მისაწვევად ზარსა რეკავენო. ვინ იცის, რამდენჯერ დამაგვიანა საათმა მატარებელზედ, მომაცდინა საჭირო საქმეს, საჭირო კაცების ნახვას, მომაცდინა კარგს სადილებს. ერთხელ სამი დღე ოთხ დღედ გასჭიმა და ამის გამო ჩემი ვექსელი, ანუ თამასუქი დროზე ვერ გამოვისყიდე, გამოაცხადეს „პროტესტი“ და ნდობა დამეკარგა. თან და თან უკან ჩამოვრჩი მთელს ქვეყანას ჯერ ერთის დღითა, მერე ორით, სამით; ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელ დედამიწის ზურგზედ მხოლოდ მე ვსცხოვრობდი წარსულ კვირას, რომელიც მთელის ქვეყნისათვის უკვე ამოშლილი იყო კალენდარიდგან. მე აღარ დავიცადე, ვიდრე მთელის საუკუნით ჩამოვრჩებოდი ქვეყანას და ისევ მესაათესთან წაველი. მესაათემ გასინჯა საათი და განაცხადა, ცილინდრი დასიებულაო, სამ დღეში გავასწორებ და საათი მზად იქნებაო. ამ წამლობის შემდეგ საათი „ორთა შუა რიცხვით“ კარგად დადიოდა. პირველ თორმე-

რად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. გარდა ამისა დასს ხორო და ორკესტრიც კარგი ჰყავს.

⁂ სოხუმიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს: „25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, 10 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი თავად გ. დ. შერვაშიძის მამულებს გამგეს მიხეილ თოფურიძის სახლს დაეცნენ. ქურდები თოფურიძის სადგომში შევარდნენ და მოსთხოვეს თვით თოფურიძეს ფული, მაგრამ რადგან უარი მიიღეს, დასჭრეს იგი და იმის მეუღლე, შემდეგ 800 მანეთი ფულად და რამდენიმე ასი მანეთის ნივთები წაიღეს და წავიდნენ. იმ ქუჩაზედ, რომელზედაც თოფურიძე სცხოვრობს, არც ერთი პოლიციელი არ აღმოჩნდა. პოლიცია მხოლოდ დილაზედ მოვიდა და ოქმი შეადგინა“.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“-ს სწერენ, რომ ხაშურსა, სურამსა და ახლომახლო ადგილებში თოვლი მოვიდაო. თოვლი, როგორც გვატყობინებენ, გორშიაც მოსულა.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ ალავერდოვი, რომელმაც ამას წინად მთელი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა აალაპარაკა. ალავერდოვმა გამოაცხადა, რომ ლოთობის წინააღმდეგ წამალი აღმოვაჩინეო. პეტერბურგის ქალაქის უფროსის მიერ შემდგარმა კომისიამ გასინჯა ეს წამალი და გამოარკვია, რომ ალავერდოვი მხოლოდ ხალხს ატყუებდა. ეხლა გაზ. „ტფ. ფურ.“-ი სწერს, რომ ალავერდოვი ლონდონში წავიდაო. იქ ერთს სასტუმროში ჩამოხტა და გამოაცხადა, რომ მკურნალი ვარო. სასტუმროში, სადაც ალავერდოვი ჩამოხტა, სცხოვრობდა ერთი ქალი, რომელიც მალიან ეწეოდა თურმე მაგარ სასმელებს. ამ ქალმა ალავერდოვის წამლების მიღების შემდეგ რაღაც მანქანებით სმას თავი გაანება. ეს ამბავი ლონდონის ყველა გაზეთებში დაიბეჭდა და ალავერდოვთან ყოველ-დღე აუარებელმა ხალხმა დაიწყო სიარული რჩევის მისაღებად. ალავერდოვმა იმდენი მოახერხა, რომ მთავრობისაგან მოწმობა მიიღო, რომლის ძალითაც ნება აქვს უწამლოს ლოთებს.

⁂ ქალაქის გამგეობის მხნე წევრის ვერმიშევის მიერ ნაყიდმა და აწ რობის მიერ ვაგონებში შებმულმა ცხენებმა უკვე ისახელეს თავი. 58 ცხენიდგან, რომელიც ბელგიის უსახელო საზოგადოებას ჩაუბარებია, ჯერ ერთი, 28 სნეული აღმოჩენილა და სამკურნალოში გაუგზავნიათ და, მეორე, როგორც სჩანს, არც დანარჩენი ყოფილა რისთვისმე გამოსადეგი. გუშინ, 30 ოქტომბერს, მაგალითებრ, ვაგონი № 62 სულ ცოტა, საათ ნახევარს იყო გაჩერებული და ვერაფრით ვერ დასძრეს. გაჯიუტებული ცხენები წიხლებს ისროდნენ, უკან იწევდნენ, მაგრამ წინ-კი ვერაფრით ვერ წაიყვანეს, ვიდრე ცხენები არ გამოუცვალეს. მაგრამ განა ეს პირველი მაგალითია, ყოველდღე ასეთი ამბავი ემართება ცხენის რკინის გზის „ახალს“ ცხენებს.

⁂ გუშინ, 30 ოქტომბერს ქალაქის პირველისა და მეორე ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე სხვა-და-სხვა ვაჭრებისა, რომელთაც სავაჭრო პოლიცია უჩიოდა,—უვარგის სანოვაგესა ჰყიდდნენო. ყველანი დაჯარიმებულ იქმნენ.

⁂ ამას წინად, საპიორის ქუჩაზედ, „ტრაქტირში“ ყვავილით ავად გახდა ამტრაქტირის ერთი მოსამსახურე—ყიფიანი. ყიფიანი პოლიციამ მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნა, მაგრამ საავადმყოფოში არ დააწვინეს, რადგანაც თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა, ამიტომ ყიფიანი უკანვე დააბრუნეს. რათა ავადმყოფობა სხვათაც არ გადაედოთ, პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ დროებით ხსენებული „ტრაქტირი“ დახურიან. ამასთან პოლიცმეისტერმა მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა აიძულეთ ქალაქის გამგეობა, რომ გადამდებ სენით ავადმყოფებისათვის განსაკუთრებული ფარდული გამართოსო.

⁂ გაზ. „კავკას“-ს სწერენ, რომ 21 ოქტომბერს გორის მაზრის სოფ. ბაშურის მცხოვრებელმა გიორგი ბალაშვილმა ხანჯლით მოჰკლა მამასახლისის თანაშემწე გაბო ბალაშვილიო.

⁂ ცნობილმა ქველმოქმედმა აწ გარდაცვალებულმა ი. დ. ხუდადოვმა ანდერძით თავისს ძმას ფარსადანს დაუტოვა 3,000 მანეთი. ეს ფული ხუდადოვს უნდა მიეღო სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისაგან. ამ დღეებში ხუდადოვი გორიდგან ჩამოვიდა და დასახელებულ საზოგადოების გამგეობაში შევიდა ფულის მისაღებად, მაგრამ იქ გამოუცხადეს, რომ ფული გარდაეცა თქვენ შვილს ნიკოლოოზ ხუდადოვს, რომელმაც თქვენ მიერ მიცემული რწმუნების ქაღალდი წარმოადგინა, ნატარიუსის მიერ შემოწმებული. რწმუნების ქაღალდი ყალბი აღმოჩნდა. ფულის მოძებნა და ამ საქმის გამოძიება მიენდო პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს ბ-ნ ბაბალოვს, რომელმა 600 მანეთი აღმოაჩინა, ეს ფული სასაფლაოზედ ყოფილა დამალული. ბრალდებულმა განაცხადა, რომ დანარჩენის ფულიდგან 1,500 ნატარიუსის კანტორის მოხელეს გარდავეცი, რომელიც რწმუნების ქაღალდის შედგენაში მეხმარებოდა, დანარჩენი თვით დავხარჯეო. ორივე ბრალდებული დაპატიმრებულ იქმნენ.

ნახული და გაგონილი

სოფელი გლოვლა (რაჭის მაზრაში).—ეკკლესია და სენაკი და მათი მხატვრობა-წარწერანი.—გუდამაყრელი მეცხვარე-მოხევენი და მათი მასპინძლობა.—ერთის მოხუცის ნაამბობი განსვენებულ ა. ყაზბეგის შესახებ.

ეს სოფელი მდებარეობს დაბა ონიდგან აღმოსავლეთისაკენ თცდა ხუთის ვერსის მანძილზედ. იგი შემოზღუდულია ირგვლივ კავკასიონის ქედებით. გლოვლა აღმოსავლეთის კედრით უკანასკნელი სოფელია რაჭის მაზრისა; აქედგან ერთს მაღალ მთას რო გადაივლით, ოსეთის სოფელ სალიგვერდაში გადახვალთ, საიდამაც გზა-ტკეცილი მიდის ქ. კავკავამდე. გლოვლაში სთესენ პურსა და ქერს, მაგრამ პური, როგორც მთა ადგილისა, შავი და გლახა გულისაცხვება. ვაზი არ ხარობს და არც სიმინდსა სთესვენ, რადგან შემოდგომაზედ მომწიფებას ვერ ასწრებს. ამ სოფელში ირიცხება ორმოცი კომლი სახაზინო გლეხი. გლეხები ერთმანეთზედ არიან მისახლებულნი, ასე რომ ერთის სახლიდგან მეორემდის ორი საჟენი თუ იქნება, და ამიტომ საშინელი უსუფთაობაა სოფელში. სახნავ-სათესის და სამოსახლო ადგილის სიცოტავე საქართველოს სხვა კუთხეში ისე არსად არ არის, როგორც აქ: ერთი ქცევა მიწა აქ ასი თუმანი და ხან მეტიც ჰფასობს. აქაური გლეხები, როგორც კარგის მთის პატრონნი, მისდევენ თხა-ცხვრის და სხვა შინაურ ოთხფეხ საქონლის მოშენებას. აქ მთელის ზაფხულის განმავლობაში სოფლად მარტო ქალები მუშაობენ, კაცები-კი სავაჭროთ არიან წასული სხვა და სხვა ქალაქში. ქალებმა ისევ ძველებური ტანისამოსი იციან აქ: ყუთმაჯებიანი კაბები, პაჭიჭები, ქალამნები, ჭრელი თავსაკრავები, ხელზედ და გულზედ მძივები,—აი ეს არის აქაური ქალების მორთულობა. გლოველები ლაპარაკობენ ძველს ქართულს ენაზედ. აქ ხშირათ ისეთ სიტყვებს გაიგონებთ, რომლებსაც ბარად არავინ ხმარობს.

გლოვლას ჩამოუდის მდინარე ჭანჭახის წყალი; იმის ნაპირზედ ერთი მაღლობი ადგილია, რომელსაც სოფლელნი „ზედ ქალაქს“ ეძახიან. ამ ადგილას ძველთაგანვე დარჩომილია ერთი პატარა ციხე და ერთიც ეკკლესია. ეკკლესიის კედლები თლილის ქვით არის ნაშენი. შიგნიდამ სამხრეთის კედელზედ დახატულია მამა ღმერთი. ეკკლესიის მახლობლად სამხრეთისაკენ ერთი პატარა სენაკია, ისიც ძველთაგანვე დატოვებული, რომელშიაც ხუთი-ექვსი კაცი ძლივს მოთავსდება. ამ სენაკის შიგნითა კედლები, სამხრეთ კედლის გარდა, მხატვრობით არის მოცული. ასე გასინჯეთ, თაღიც-კი სულ ერთიანად დახატულია. წარწერა ყველა სურათს აქვს, მაგრამ მე ვერ გავარჩიე. სენაკში დასავლეთის კედელზე მიყუდებულია 10—15 ლერწმის ჯოხი; ჯოხებზედ ჰკიდია სხვა-და-სხვა წითელ-ყვითელი ძონძი; ძონძების თავზედ მიბმულია თითო პატარა ზარი. ერთ მოხუცსა ვკითხე, ეს ლერწმის ჯოხები რისთვის აყუდია აქ მეთქი? ესო, მიპასუხა მოხუცმა, დროშა არისო. აქ ერთი გვარი ხალხი სცხოვრობს, რომლებსაც სულტანიშვილებს ვეძახით. ამ გვარში რამდენი ვაჟიც-კი დაიბადება და აქ მოსვლას შეიძლებს, ყველამ უნდა გააკეთოს ამისთანა დროშა, აქ მოიტანოს და აღდგომას ლიტანიაზედ დროშით შემოუაროს ეკკლესიასო. იმავე მოხუცის სიტყვით, ამ ადგილზე შვიდასი კომლი მოქალაქე დაეტოვებინა თამარ დედოფალს, მაგრამ შემდეგ გადმოსულიყვნენ ოსები და სულ აეოხრებინათ აქაურობა. ეს ეკკლესია და სენაკი ერთსა და იმავე დროს აუშენებია თამარსო, სთქვა ბოლოს მოხუცმა. აქ იმდენი ძველი ნანგრევებია, რომ ოდესმე აქ მართლაც ქალაქი უნდა ყოფილიყო და ან დიდი სოფელი მაინც.

გლოვლა განთქმულია საზაფხულო საძოვარის ადგილებით. როგორც აქაურმა გლეხებმა მითხრეს, ოცდაათი ათას ქცევამდე არის მთებში საძოვარი მიწები. ზაფხულობით აქ ერეკებიან საძოვრად ჯოგებს იმერეთიდგან, რაჭიდგან, ოსეთიდგან და არაგვისა და სხვა ხეობებიდგან. მე თითონ დავრჩი 30 აგვისტოს გუდამაყრელ მოხევე მეცხვარეებთან ღამის გასათევად. მწყემსები ისე გულ-უხვად გამიმასპინძლდენ, როგორც აგვიწერს ალექსანდრე ყაზბეგი მათს სტუმართ-მოყვარეობას. როგორც მივედი, მაშინვე დაჰკლეს მსუქანი ჰედილა; მოხუცმა მოხევემ ჩემთან ივახშმა და ახალგაზდა ბიჭები-კი ცალკე დასხდენ პურის საჭმელათ. ჩემს გულ უხვ მასპინძელს, თევდორე ნადიბაიძეს, შეხედულება უმტკიცებდა, რომ სამოცი წლის კაცი უნდა ყოფილიყოს.—თევდორე! შენის ხნის კაცისთვის რაღა რიგია ცხვრის მწყემსად ყოფნა-მეთქი ვუთხარი ჩემს მასპინძელს.—მე კი არა, შე დალოცვილო, ჩვენი სანდროი დიდი იარანლის შვილი იყო, რომ ცხორსა მწყსიდა, სთქვა მოხუცმა. როგორც ვიცით, ჩვენი ცნობილი ბელეტრისტი, ალექსანდრე ყაზბეგი, ერთს დროს ცხვარს მწყესავდა და მოხუცის სიტყვებმა ცნობის მოყვარეობა აღმიძრა.

— მერე იცნობდი იმ სანდროს, თუ გაგონილი გაქვს სხვისაგან? ვკითხე მე.

— ვიცნობდი კი არა, მე თითონ სანდროსთან ორი წელიწადი ვიყავ მეცხორეთ, იმისთანა თავადი ჩვენს ხევში აღარ დაიბადება.

— მერე გაჰყიდა თუ მისცა ვისმე ცხვარი? დავეკითხე თევდორეს.

— კი არ გაჰყიდა, კავკაველმა თათარმა გაუყიდა ძალათ ვალშიდ.

— განა ისე ღარიბათ იყო, რომ ვალი ვეღარ გაისტუმრა?

— სანდროის რომ ცხორს უყიდდენ, მის წინა დღეს ქალბატონმა, სანდროის დედამ, შემიყვანა ცალკე ოთახში და მითხრა: შვილო თევდორე, შენ არ იფიქროი, რომ ჩემი სანდროის დედა ისე დაღარიბებულიყოს, რომ მისი ცხორი გაყიდვისგან ვერ დაიხსნას. აი, ამ ორი ბეჭდის ნაფასურით (ყუთიდგან ამოიღო ორი ბეჭედი და მიჩვენა) დავიხსნი ჩემი სანდროის ცხორს, მაგრამ არ მინდა ჩემი სანდროის მეცხორეობა. ცხორი რომ გვეყოლოს, სანდროი მის დევას არ მოიშლის და ისევ გაიყიდოს, ის მირჩევნია. აგებისარი სამსახურში შევიდეს სადმე ჩემი სანდრო. მარტო მრცხვენია, სანდროის ბიძაშვილები სამსახურში არიან და ის-კი ცხორს დასდევს უკანო.—ერთჯერ—განაგრძო კიდევ მოხუცმა, მე და სანდროის ცხორი მოგვიდიოდა ჩეჩენში. ერთ სოფელში გადაეღობა წინ ვიღაც ჩეჩენი და ცხორი დააყენა. სანდროი მივიდა და უთხრა: რაი გინდა, რო ცხორს

ტის საათის განმავლობაში საათი ისე გაბრაზდებოდა ხოლმე, ვითარცა ადამიანი, ხვნეშოდა, ცხვირს აცემინებდა, ფრუტუნებდა და ერთის სიტყვით, ისე ხმაურობდა, რომ ჩემს საკუთარს ფიქრს გულის ყურს ვერ ვადევნებდი. ვიდრე თორმეტი საათი გავიდოდა, ჩემს საათს ამ ჯირითში ვერც ერთი საათი ვერ აჯობებდა: მერე-კი ისე ნელა დაიწყებდა სიარულს, რომ უკან დარჩენილი საათები ისევ დაეწეოდნენ ხოლმე. ამ გვარად, 24 საათის შემდეგ საათი სწორედ აჩვენებდა დროს, ესე იგი „ორთა შუა“ რიცხვით სწორედ დადიოდა და ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ამ საათმა თვისი მოვალეობა არ შეასრულა, ან მოვალეობას გადააჭარბაო. მაგრამ „ორთა შუა“ სისწორე საათისა ჯერ ვერაფრად მოსაწონი თვისებაა და ამიტომ ეხლა სხვა მესაათეს წავუღე. მესაათემ მითხრა, ბეწვი გაწყვეტილაო. ვუპასუხე—მადლობა ღმერთს, რომ უარესი არაფერი მომხდარა. სწორედ მოგახსენოთ, საათის ბეწვისა არაფერი მესმოდა, მაგრამ უცხო კაცთან ჩემი უვიცობა არ მინდოდა გამემჟღავნებინა. მესაათემ გამოსცვალა რაღაც ბეწვი იყო და ეხლა საათმაც გამოიცვალა თვისი ხასიათი და ზნე-ჩვეულება. ჯერ ცოტა ხანს დადიოდა, მერე ცოტა ხანს გაჩერდებოდა, მერე პატარას კიდევ დაივლიდა და ასე იქცეოდა სრულიად თავის ნებაზე, ჩემის სურვილის დამოუკიდებლად. გარდა ამისა, ვიდრე სიარულს დაიწყებდა, ერთხელ უნდა გაეტკაცუნებინა ხოლმე. რამდენსამე დღეს საათის უბის ქვეშ ბამბას ვიდებდი, მაგრამ მერე ისევ მესაათესთან წავიღე. ამ მესაათემ საათი დაშალა, გადაატრიალ-გადმოატრიალა და სთქვა: საქმე სულ ეს „ბორბალიაო“; გაასწორა ბორბალი და ჩამაბარა საათი. საათი ეხლა მშვენივრად დადიოდა, მაგრამ ერთად ერთი ახალი სენი დასჩემდა: ყოველ 10 წუთში საათის ისრები ერთმანეთს გარდაეხლართებოდა ხოლმე მაკრატელივით და მერე ერთად იწყებდნენ მოგზაურობა.

რაც უნდა გონიერი კაცი მოგეყვანათ, ეხლა ისიც ვერ შეიტყობდა, რამდენი საათი იყო და ამიტომ კვლავ მესაათეს მივმართე, რაღა თქმა უნდა, ეხლა სხვას.

ამ ოსტატმა გამომიცხადა, რომ საათის „ქვა“ მოიზნიქა და ღერძი გაბრუნდდაო. გარდა ამისა საჭიროაო,—ბძანა,—„გულ-მუცელი“ გამოვიღო და ზოგიერთი რამ სულ ახლად გავაკეთოვო. გაასწორა და გააკეთა ყოველივე, რაც საჭიროდ მიაჩნდა და გადმომცა საათი, რომელიც ეხლა მშვენივრად მუშაობდა; ხოლო ერთად-ერთი ნაკლი ჰქონდა. იმუშავებდა ასე რვა საათს, მერე უეცრად მოჰყვებოდა ზუილს, კრაზანასავით; ამავე დროს ისრები ისე სწრაფად ტრიალებდნენ, რომ ადამიანი ვერ გაარჩევდა, ისრები ჰქონდა ამ საათს, თუ აბლაბუდა იყო გადაქსოვილი. 6 ან 7 წუთის განმავლობაში საათი გაივლიდა მთელს 24 საათს, მერე ერთს გაატკაცუნებდა და გაჩერდებოდა ხოლმე.

ნაღვლიანი და დაძმარებული წაველი ეხლა კიდევ სხვა მესაათესთან და გადავწყვიტე ფიცის ქვეშ ჩვენება ჩამომერთმევინა ამ საათის შესახებ, ვინაიდგან ეხლა-კი საქმე მეტად გამწვავდა. ეს საათი ვიყიდე 200 დოლლარად და მესაათეებმაც გასაკეთებლად უკვე ორი თუ სამი ათასი დოლლარი გამომართვეს. დავაკვირდი ამ მესაათეს და ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა; უწინ გემზე მსახურებდა და ვერაფერი მემანქანე იყო.

დიდის დაკვირვებით გასინჯა საათი, როგორც სხვა მესაათეებმა, და გამოაცხადა თვისი გარდაწყვეტილება.

ასე სთქვა:

„საათს მომეტებული ორთქლი ამოძრავებს. ვინტის ტრიალს უნდა მოვუკლო და“...

ამ სიტყვების დათავება აღარ დავაცადე,—თავის ქალა ათად გავუხეთქე, ერთს წამში სული ამოვართვი და საიქიოს გავისტუმრე. გვამი-კი ჩემის ხარჯით დავასაფლავე.

განსვენებული ბიძა ჩემი ვილიამი (ღმერთმა აცხონოს!) იტყოდა ხოლმე: ცხენი იმ დრომდე კარგი, ვიდრე არ გაგიჟდებაო და საათი იმ დრომდე, ვიდრე მესაათეს ხელში არ ჩაუვარდებაო. და თან იმასაც იკითხავდა ხოლმე: რა დღე დაადგებოდა მაშინ ყველა იმ მექვაბეებსა, მეთოფეებს, ხარაზებსა და მჭედლებს, ვინც თვისის ხელობით ფული ვერ მოიგო და მესაათობას მიჰყო ხელიო? ამის პასუხი ვერავინ მიუგო.

ა. ნ.

მიჩერებო? რაი მინდა და ოცი ჭედილა მომეცი საბალახოს ქირათო, უპასუხა ჩეჩენმა. მაშინ სანდროიმ ამოიღო ჯიბიდგან რაღაცა ქაღალდი და აჩვენა ჩეჩენს. იგი მუხლზედ დავარდა და კოცნას უპირობდა მუხლზედ სანდროის, მაგრამ სანდრომ აღარ აცალა და ჩეჩენს ორი-სამი სილა სტკეცა და ერთი წიხლიც ჩააყოლა. ჩეჩენი მაშინვე ზეზე წამოვარდა, გაიქცა და ვიღაც მოხუცებული კაცი მოიყვანა, რომელმაც გალახული შეარიგა სანდროის. მაშინ მიუბრუნდა და უთხრა სანდროიმ გალახულ ჩეჩენს: დღეის შემდეგ აღარ გაბედო მოხევეების ცხორის დაყენება და ან გაგლეჯა, თორემ, იცოდე, უარესი დღე დაგადგებაო.

მოხუცმა, ეს სიტყვები გაათავა თუ არა, ნაღვლიანად დაუმატა—დაილუპოს მისი სიკვდილის დღეი! სანდროი ჩვენთვის დიდი იმედი იყოვო.

ვანო ჰეჰინაძე

რუსეთი

ტომსკის უნივერსიტეტში,როგორც უთუოდ მოეხსენება მკითხველებს, უმეტეს ნაწილად სემინარიებში სწავლა დამთავრებულნი შედიან. შარშან, მაგალითად, უნივერსიტეტში სულ 446 სტუდენტი ირიცხებოდა, მათ შორის 353 სემინარიაში სწავლა დამთავრებული. წელს უნივერსიტეტში 172 კაცი შევიდა, მათ შორის 153 სემინარიელი. გაათავა შარშან სწავლა უნივერსიტეტში 194 კაცმა, ამ რიცხვიდგან 147 სემინარიელი იყო.

— აზრადა აქვთ მე-XI საარქეოლოგიო კრების დროს, 1899 წელს, კიევში, გამართონ გამოფენა ძველის წიგნებისა. ამ გამოფენაზედ მხოლოდ ის წიგნები იქმნება, რომლებიც სამხრეთ რუსეთში მე-XVI და XVII საუკუნოებში დაიბეჭდა.

— სახელმწიფო საბჭოში ახალი პროექტი იქმნა შეტანილი იმის შესახებ, რომ ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტი გადაკეთებულ იქმნას ვაჭრობისა და მანუფაქტურის მთავარ სამმართველოდ.

— ქ. ლიუბლინიდგან სწერენ რუსულს გაზეთებს: „ამას წინად ადგილობრივ თეატრში წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენა იმდენად საინტერესო იყო, არტისტებმა ისე კარგად შეასრულეს როლები, რომ ქანდარის ერთს მაყურებელს... ჩაეძინა და ისიც ისე ღრმად, რომ დილამდე აღარ გამოღვიძა. მაგრამ როდესაც დილა ადრიან თვალები გააჭყიტა, გაკვირვებულმა თეატრის მოტრფიალემ ვერ გაიგო ერთბაშად სად იყო და სად არა, ამასთან თეატრში საკმაოდ ბნელოდა, ხელად ფეხზედ წამოხტა და მესამე სართულიდგან ძირს, თეატრის დარბაზში ტყაპანი-კი მოსძრა. საბედნიეროდ რბილ სავარძელს დაეცა და, თუმცა სავარძელი ერთიან დაამსხვრა, თვით არ დაშავებულა. როდესაც დილაზედ თეატრის მოსამსახურე დარბაზში შევიდა, დამტვრეულ სავარძელთან ვიღაც კაცი დაინახა, რომელსაც არხეინად ეძინა. თეატრის უცნაური მოყვარული ადგილობრივის ქარხნის მუშა აღმოჩნდა, 26 წლის კაცი, გვარად ბლეზნიკოვი“.

უცხოეთი

ინგლისი. როგორც გაზეთები იუწყებიან, სიტი (ლონდონის საუკეთესო უბანი) ძვირფასს ხმალს მიართმევს პატივისცემის ნიშნად ლორდს კიტჩენერს, რომელმაც დერვიშები დაამარცხა ამდურმანთან. ეს მეორმოც-და-სამე მაგალითი ყოფილა, ასეთი საჩუქარი მიერთმიოსთ აფიცრისთვის, რომელმაც ინგლისს სახელი გაუთქვა ზღვაში ანუ ხმელეთზედ. საპატიო ხმალი სიტს პირველად ლორდ ვინცენტისთვის მიურთმევია, რომელმაც ესპანიის ფლოტი დაამარცხა 1797 წელს.

—,,Journal des Debats“-ის სიტყვით, ინგლისს სხვა-და-სხვა ადგილას ეხლა იმდენი საომარი გემი ჰყავს, რომ თამამად შეუძლიან თავი მოიწონოს. ხმელთა შუა ზღვაში 39 გემი ჰყოლია, რომელთა შორის 10 საუკეთესო ჯავშნიანი გემი ყოფილა. ატლანტის ოკეანეს ნაპირზედ—13 გემი და ამათში 9 ჯავშნიანი გემი. ეს გემები ახალი გაკეთებული ყოფილა და საუკეთესონიც სხვა გემთა შორის. გარდა ამისა, ინგლისის წყლებში სხვა 22 გემიც არის, რომელნიც ინგლისის ნაპირებს და ნავთ სადგურებს სდარაჯობენ. ამათ შორის 10 ჯავშნიანი გემია. ამასთანავე არსენალებშიაც 150 გემი ჰქონიათ ყველა დარგისა.

ჩრდილო ამერიკაში და ანტილის კუნძულებთან—13 გემი, რომელთა შორის 1 ჯავშნიანია; აღმოსავლეთ ინდოეთში—9; ამერიკის დასავლეთ ნაპირებისაკენ—16; ჩინეთში—28, რომელთა შორის 2 საუკეთესო ჯავშნიანი ყოფილა; დიდს ოკეანეში—7 და ავსტრალიაში—14.

საფრანგეთი. ბონაპარტისტების საუკეთესო მწერალი პოლ დე-კასანიაკი თავისს გაზ. ,,Autorite“-ში სწერს, რომ გენერლები უნდა მისულიყვნენ იუსტიციის პალატაში და დრეიფუსის დანაშაულობის დაურღვეველი საბუთები უნდა წარედგინათო. დრეიფუსი თუ უდანაშაულო გამოდგა,განაგრძობს იგი, ხუთის კაბინეტის მინისტრები კაცის მკვლელებად უნდა ჩაითვალონ და ამიტომ როცა დრეიფუსს დააბრუნებენ ეშმაკის კუნძულიდგან, იმის ნაცვლად იქ უნდა გაჰგზავნონ მერსიე, ბილიო, ცურლინდენი, კავენიაკი და შანუანი და ამათ თან უნდა მიაყოლონ დანარჩენი მინისტრები, რომელნიც ამათი თანხმანი იყვნენო. ეს თუ ასე მოხდა, ჩვენ ეს სრულიადაც არ დაგვაღონებს, რადგან ამ ვაჟბატონებს ისეთივე ერთობა აქვს საფრანგეთის მხედრობასთან, როგორც ესტერგაზს, პატი-დიუ-კლამს, ანრის და რუსშულიკის სამხედრო მინისტრების სხვა სანუკვართათო.

ამერიკა. გაზეთების სიტყვით, ჩიკაგოში დღესასწაულები გამართეს ესპანიაზედ გამარჯვების გამო და პრეზიდენტი მაკ კინლეი ყოველ დღე ესწრება მიტინგებს, ბალებს და სხვა სახალხო დღესასწაულს. ხანდახან დღეში ხუთს ადგილას იმართება მიტინგი და პრეზიდენტიც თავისს თავს მოვალედ სთვლის თითოეულს იმათგანს დაესწროს და ცოტას ხანს მაინც დაჰყოს. ერთს მიტინგზედ 5000 კაცი ყოფილა თურმე და თითოეული მათგანი პრეზიდენტს მისალმებია, ამ უკანასკნელსაც ამერიკის ჩვეულებისამებრ ყველასთვის ხელი ჩამოურთმევია. ამ დროს ვიღაც ორი ქალი მივარდნილა პრეზიდენტს და მისი გადაკოცნა სდომებიათ, მაგრამ დიდ-ძალს ხალხს, რომელიც უკანიდგან ერთი-მეორეს აწვებოდა და ყველას უნდოდა საყვარელის პრეზიდენტისათვის ხელის ჩამორთმევა, ქალები წინ გაუტანებია, ასე რომ იმათ ვეღარ მოუსწრიათ მაკ-კინლეის კოცნა. მეორე დღეს მაკ კინლეი იძულებული იყო ოთხი საათი დარჩენილიყო ერთს მიტინგზედ, რადგან ბევრმა სიტყვის წარმოთქმა მოისურვა, რომელთაგან ზოგიერთი ორატორი კიდეც ჰკიცხავდა პრეზიდენტის პოლიტიკას. იმავე საღამოს მაკ-კინლეი ბალში უნდა წასულიყო, რომელიც დაჭრილ ჯარის-კაცთა სასარგებლოდ იყო გამართული. ამ ბალში შესასვლელი ბილეთი 60 დოლარი ღირდა თურმე. მეორე დღეს დიდი კრება ჰქონიათ ხალხთა შორის მშვიდობიანობის მოსურნეთ. ამ კრებას სხვათა შორის 10,000 მეველოსიპედე დასწრებია.

პოლიციის 120 აგენტი დაჰყვება თურმე პრეზიდენტს ყველგან, რომ არავინ არა ავნოს-რაო. აგენტები ყოველსავე ხერხს ხმარობენ თავიანთ მოვალეობის კარგად შესასრულებლად. მაგალითად პრეზიდენტის წინ აგენტი მიდის; იგი ისეთსავე ეტლში ჰზის, როგორშიაც პრეზიდენტი, ისეთივე ტანისამოსი აცვია და ხალხსაც აქეთ იქით ისე აძლევს სალამს, როგორც პრეზიდენტი. რაღა თქმა უნდა, ეს ბოროტგანმზრახველების მოსატყუებლად არის მოგონილი, მაგრამ ხშირად ხალხიც სტყუვდება ხოლმე და თვალთ-მაქცი პრეზიდენტი მაკ-კინლეი ჰგონია და აღტაცებით ეგებება იმას, მაშინ როდესაც ნამდვილი პრეზიდენტი მოწმე ამ ამბისა.

დამაკვირდი

ფულია ყველა მოქმედების სათავე და მიზეზი.

ციცერონი

* * *

სიმშვიდისა ურითა უნდა შემუსრო კერპი სიძულილისა.

ანტონ I

* * *

უწინდელი ცხოვრების ხსენება ჩინებულად გვახალისებს.

ი. ივერიაძე

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ თვეში ინგლისელებმა ძლიერ გაიმარჯვეს, დაიპყრეს ობდურმანი, წმიდა ქალაქი დერვიშებისა. სატახტო ქალაქი ხალიფისა, სადაც მახდის ნეშტია დასაფლავებული, ამ ჟამად გენერალის კიჩინერის ხელშია. დახოცილ იქმნა ათასი კაცი სუდანელი,თვით ხალიფი გაიქცა და იმის შესახებ არავითარი ხმა არ ისმის. ინგლისელებმა გაიმარჯვეს.

უნდა გავახსენოთ მკითხველებს, რომ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მახდიმ ააღელვა თვისი ქვეყანა და სცდილობდა თვისის სარწმუნოების გაძლიერებას. სუდანის წინასწარმეტყველის სიტყვა სწრაფად გავრცელდა მთელს სუდანსა და ეგვიპტეში. ინგლისელები დიდხანს აქცევდნენ ყურადღებას ამ გარემოებასა, მაგრამ მერე გვიანღა იყო. გაგზავნეს ჯარი, რომელიც ვერაფერს გახდა. 1883 წელს მახდის მომხრეებმა გაანადგურეს ინგლისელების ჯარი. იმავე წლის დეკემბერში სლატინ-ფაშა ტყვედ წაიყვანეს მაჰდის მომხრეებმა. მეორე წელს ინგლისელებმა კიდევ გაჰგზავნეს ჯარი, რომელსაც ისევ ის დღე დაადგა. გენერალმა გორდონმა რამდენიმე დასი ჯარისა დაამარცხა და 18 თებერვალს მივიდა ხართუმში.

მაჰდიმ დაიპყრო ის ადგილები, რომლებიც ეგვიპტესაკენ გზას აძლევდნენ ინგლისელებს. გორდონი შეებრძოლა მაჰდის, მაგრამ ძლეულ იქმნა. მაჰდიმ შეიპყრო და გორდონს თავი მოჰკვეცა. ამ ამბავმა ძლიერ ააღელვა ინგლისელები. 7 თებერვალს ლორდმა უოლესმა მიიღო ბრძანება ლონდონიდგან—რაც შეიძლება მალე დაიპყრეთ ხართუმიო, მაგრამ ეს ბრძანება ვერ ასრულდა: მაჰდის ჯარმა ინგლისელების ჯარი სულ ერთიანად ამოწყვიტა. მხოლოდ ეხლახან ინგლისის გენერალმა კიჩინერმა ბოლო მოუღო მაჰდის მომხრეებს. მაგრამ ეხლა თავი გამოიდო აბაშეთმა, რომელსაც ძლიერი რუსეთი სწყალობს და ვინ იცის, ეს საქმე რით გათავდება...

სასამართლოს მატიანე

29 ოქტომბერს ოლქის სასამართლომ გარდასწყვიტა: მილიციის პრაპორჩიკი ასკერ ზეინალოვი, ტფილისის მოქალაქენი ისმაილ ზეინალოვი და პორტ-ბარონოვი და ბერდიჩევის მოქალაქე იოსებ სედლეცკი ცნობილ იქმნენ დამნაშავეებად ყალბის ფულის მოჰრაში.სასამართლომ მიუსაჯა: ასკერ ზეინალოვს—რვა წლის კატორგა, ხოლო ისმაილ ზეინალოვსა, ვარტ-ბარონოვსა და იოსებ რედლეცკის—კატორგა ოთხის წლით. ბრალდებულს მირიმანოვს მიუსაჯეს სამის წლით ყოფნა საპატიმრო როტებში. დანარჩენნი ბრალდებულნი სასამართლომ გაამართლა.

ქართველ-კათოლიკეთა წარმომადგენელნი

II

მთარგმნელ-მოღვაწე მოძღვარი ივანე მამულაშვილი

1830 წლებში ქართველ კათოლიკეთა შორის ცხადად გამოირკვა ის ჭეშმარიტებით სავსე დედა-აზრი, რომ იმათთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა ქართულს ენაზედ დაბეჭდილ ლოცვანის ანუ სჯულის სხვა რამ სახმარი წიგნები. დაბეჭდილი წიგნები იმ დრომდისაც ჰქონდათ, მაგრამ ის წიგნები რომმა იყო დასტამბული XVII და XVIII საუკუნოებში,საქართველოში-კი, ქართველ კათოლიკეთათვის არაფერი დაბეჭდილა. ტფილისში ქართველ კათოლიკეთა ლოცვანი პირველად 1829 წ. დაიბეჭდა ს. დოდაშვილის სტამბაში, სადაც მაშინ იმ დროის ქართული ჟურნალ-გაზეთებიც იბეჭდებოდნენ.

მას შემდეგ სამოცის წლის განმავლობაში მხოლოდ ხუთჯერ იქმნა ლოცვის წიგნები აღბეჭდილი, ერთი 1864 წ. ქ. ტფილისს, ვინმე მაისურაძისაგან და 1873 წ. პატივცემულმა პატრმა ალფონს ხითარაშვილმა ლათინურიდგან ნათარგმნი „ვნების გვირა“ დასტამბა. 1830 წლის შემდეგიდგან მრავალ კათოლიკეთა მოძღვართ აღიარეს, რომ იმათთვის საჭირო იყო მრევლთან ქართულს ენაზედ საუბარი, ქართულის წიგნების ხმარება. ასეთ მოძღვართა რიცხვს უმეტეს ნაწილად ქართველის გვარისანი ეკუთვნოდნენ და ისეთნიც ერივნენ, რომელნიც ქართველნი იყვნენ გვარ-ტომობით, მაგრამ სომხობდნენ, სომხის ტიბიკონზედ იდგნენ და ხალხსაც სომხურის ენით უქადაგებდნენ; ასმენდნენ, რომ თქვენი ენა სომხური ენა არისო. კათოლიკეთა გასომხებისა ამათ დიდი წადილი ჰქონდათ, მაგრამ ამ წადილს ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ ზოგიერთნი ქართველის გვარის კათოლიკეთა მოძღვარნი.

1840 წლებში სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონზედ მდგარ მღვდლებმა დაჰკგმეს სამქვეყნოდ ეკლესიებში ის კათოლიკენი, რომელნიც თავიანთ თავს ქართველად სცნობდნენ. ასეთ წყევა-კრულვის დიდი მორიდება ჰქონდათ ქართველ გვარის კათოლიკეებს, ამათ ეშინოდათ ღვთისა და სარწმუნოებისა, სარწმუნოების შიშით თავიანთ თავს სომეხ-კათოლიკედ აღიარებდნენ, სომხის შთამომავლად.

ასეთ დროის ქართველ კათოლიკეთა წინაშე იყვნენ ისეთნი მოძღვარნი და მხნე კაცნი, რომელნიც კათოლიკეთაგან ქართულის ენის და მწიგნობრობის შესწავლის საქმეს მფარველობდნენ. ამათს მოქმედებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მათში გამართული იყო ცხარე ბაასი და კამათი. ერთნი სრულიად უარჰყოფდნენ ქართველ კათოლიკების გვაროვნებას, ქართველობას, მეორენი ამბობდნენ, რომ იქნება, მართლა, ჩვენ სომხის გვარის კათოლიკენი ვართ, ჩვენი ენაც სომხური ენა იყოს, მაგრამ რადგანაც დღეს ჩვენი მრევლი თავისს დედა-ენად ქართულს ჰხმარობს, ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ, რომ ეს ენაც შევასწავლოთ ხალხს, ამ ენაზედაც ვბეჭდოთ წიგნები, რომ მისის მეოხებით მრევლმა უფრო კარგად შეიგნოს თავის მოვალეობა, თავისი სარწმუნოება.

ასეთმა ბრძნულმა ქადაგებამ გაიტაცა მრავალი საპატიო მოძღვარი ქართველ-კათოლიკენი, და სწორედ ამანვე გაამხნევა და აშრომა მოძღვარი ივანე მამულაშვილი, რომელმაც კალამი აიღო ხელში, დაიწყო ქართველთა გვარისა და ენის სასარგებლოდ შრომა, სხვა-და-სხვა ენიდგან ქართულს ენაზედ სთარგმნა მრავალი წიგნი, რომელთაგანიც ზოგი დასტამბულ იქმნა ევროპაში.

მოძღვარი ივანე მამულაშვილი შთამომავლობით ქართველია, სამცხელი, მესხი. მთლად სამულაშვილები, სადაც-კი სცხოვრობენ, ყველანი ქართველ ტომს ეკუთვნიან. წინად ესენი ერუშეთისაკენ (არდაგანის ოლქი) სცხოვრობდნენ, ქართველთა გათათრების დროს ერუშეთიდგან ჯავახეთში გადასახლდნენ, მერე ჯავახეთის გართების დროს გურიაში გადასახლდნენ, იმერეთსა და ქართლში. გურიაში მთელი სოფელი სცხოვრობს ამ გვარისა, ქართლში სახლობენ: სოფ. მეტეხსა, ბოწმენდსა და მცხეთაშიაც არიან.

ჟამთა ვითარების მეოხებით ამ გვარის წევრთაგანნი ზოგნი გრიგორიანობას დაუკავშირებიან, ზოგნი კათოლიკობას, დაუკარგავთ თავიანთი გვარ-ტომობა, გადასხვაფერებულან და დღეს იგინი მამულოვებად იწოდებიან. ამას აღუდგა წინ მხნე მოძღვარი მამულაშვილი და მან ხმა მაღლა დაიწყო ქადაგება. პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენ ქართველის გვარის კათოლიკენი ვართ და არა სომხისანი, თვით გრიგორიანნი სარწმუნოების მამულოვებიც გვარ ტომობით ქართველობას ეკუთვნიანო.

თითონ მოძღვარი მამულაშვილი სომხურს ტიბიკონზედ იდგა და იგი სომხის გვარის ტერ-ოჰანეზ მამულოვად ირიცხებოდა, მაგრამ იგი ქართველობას მაინც არ ივიწყებდა და მრევლში ყოველთვის ქართულად ჰქადაგებდა. თავისს დროის კვალად შესაფერი სწავლა ჰქონდა მიღებული. ყოფილიყო კონსტანტინეპოლს და ვენეციის მხითარისტების „მმობის“ სასწავლებელში, იცოდა სხვა-და-სხვა ენა და ამასთან საქართველოს ისტორიასა და ქართულს ძველს მწერლობასაც კარგად იცნობდა.

კონსტანტინეპოლისა და ვენეციაში სწავლის შემდეგ იგი მოძღვრათ იქმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურისხული და საქართველოში გამომწესებული. კარგა ხანს მღვდლობდა. ხალხის თვალში იმისს პატივისცემას ის უფრო აორკეცებდა, რომ იგი იყო ქართველი მოძღვარი, ქართულს ენაზედ მქადაგებელი, ამასთან ქართველი მწიგნობარი, მწერალი, რომელიც თავის გვარის სასარგებლოდ დაუცხრომლად ჰშრომობდა და ჰმოღვაწეობდა. 1870 წლებში, თითქმის ამან ჩაჰყარა ქართველ-კათოლიკეთა შორის ქართულს ენაზედ წიგნების თარგმნისა და ბეჭდვის საძირკველი.

მაშინ ვენეციისა, ვენისა და კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთა შორის დიდად განთქმული იყო მხითარისტების ინჯიჯიანის და ზურაბიანის ნაწერები, თუმცა ინჯიჯიანი ძველის-ძველი მწერალი იყო, მაგრამ იმის და ზურაბიანის ნაწერები მრავლად იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ხალხში. ამ საუკუნის დამდეგს ინჯიჯიანმა დასწერა სომხურს ენაზედ „ახალი სომხეთი“, ზურაბიანმაც— სხვა-და-სხვა ისტორიული წერილები. მხითარისტების სწავლულთა კონგრეგაციამ აღადგინა ახალი სომხეთი. ამათ ისტორიულის ნაწერებიდგან დიდათ ისარგებლა სენ-მარტენმა, მან ბევრი მასალა შეჰკრიბა თავისის ნაწერებისთვის. ამათს ცნობებს სენ-მარტენი დიდად აფასებდა.

ამ დროს სენ-მარტენმა ურჩია აკადემიკოსს ბროსეს, რომ კარგი იქმნება სომხურის ენიდგან ქართულს ენაზედ ინჯიჯიანისა და ზურაბიანის წიგნები ითარგმნოს და დაიბეჭდოსო. სენ-მარტენის რჩევით, მარრი ბროსემ მხითარისტებს სთხოვა, რომ იქმნება თქვენის ძმობის რომელმამე წევრთაგანმა ქართული ენა იცოდეს, კარგი იქმნება, რომ მან ინჯიჯიანისა და ზურაბიანის ნაწერები ქართულად სთარგმნოს და დაჰბეჭდოსო. აკადემიკოსის თხოვნა ვენეციის მხითარისტების ჟურნალშიაც დაიბეჭდა და მასთან პარიჟის „აზიურს ჟურნალშიაც“. ამ დროსვე გამოცხადდა, რომ ამ ნაწერებს დიდი ხანია ქართულს ენაზედ სთარგმნის ქართულის ენის მცოდნე და ქართულის გვაროვნობის წარმომადგენელი, მოძღვარი ივანე მამულაშვილიო.

ივანე მამულაშვილი ადრევე შესდგომოდა ამ მწერალთა ნაწერების თარგმნას და ზოგიერთი თხზულება 1851 წლამდე უკვე დაემთავრებინა. ამ დროს ივ. მამულაშვილი ახალციხისკენ ყოფილა მღვდლად. პეტრე ხარისჭირაშვილს მასთან მეტად დახლოვებული კავშირი ჰქონია. ამათ დროსვე სცხოვრობდნენ ქართველ-კათოლიკეთა მოძღვარნი: ანტონ ხუციანცი (ხუციშვილი), სიზაბავრელი, მღ. ანტონ თუმანოვი, ოცხელი, მღ. სტეფანე იესაშვილი (დღეს იეზოვი) და მღ. სტეფანე ნაგროზაშვილი. ესენი ყოფილან პავლე შაჰკულიანცის (ჯინაშვილის) მოწაფენი. პ. შაჰკულიანმა სწავლა რომში 1995წ. დაამთავრა.

პ. ხარისჭირაშვილმა კარგად იცოდა ივანე მამულაშვილის შრომის ამბავი და როცა იგი საქართველოდგან ევროპაში გადასახლდა სამუდამოდ, მაშინ ივ. მამულაშვილის ზოგი ნაწერები თან წაიღო და ვენეციის მხითარისტების სტამბაში, ამ საუკუნეში, პირველად მოძღვრის ივანე მამულაშვილის ნაწერები დაიბეჭდა. ეს ნაწერები, როგორც სწერს ქართველ-კათოლიკეთა პატივცემული მოძღვარი ივანე გვარამაძე, დაბეჭდილა პ. ხარისჭირაშვილის რედაქტორობით და თვით ამისავე ხარჯით. აი ზოგი წიგნებიც:

1, „ისტორია, ანუ მოთხრობა ძველისა და ახლისა აღთქმისა“, ქმნილი სომხეთ მხითარისტის იონე არქიმანდრიტის ზურაბიანის მიერ, თარგმნილი სომხურის ენიდგან და დაბეჭდილი 1858 წ. ვენეტიკს, წმიდა ლაზარეს მონასტრის წიგნთ-საცავში. წიგნის გაბადონის რიცხვი 875 შეიცავს, წიგნის წინასიტყვაობაში ერთ ალაგას ნათქვამია: „თუმცა დიდათ ძნელი იყო ესე ჩვენთვის, რამეთუ არა გვყავდა ჩვენ ამა საქმისათვის ვინმე შემწე და არცა თანამშრომელი პირი ვინმე ქართულის ენის მცოდნე, გარნა რა ვხედავდით ვითარმედ ამა ოქროსა საუკუნესა შინა თითქმის ყოველთა ნათესავთა ენათა ზედ დაიბეჭდებიან ფერად-ფერადნი სამეცნიერო და სიბრძნის წიგნნი, ამის გამო ფრიად სასარგებლოთ ვრაცხეთ ქართულს ენაზედ წიგნების დაბეჭდვა, აწ სასოებით ვითარმედ წრფელ აზროვანს კეთილს მსურველს და გულს მოდგინეს მოღვაწებისა ამასა ჩვენსა, კეთილად მიიღებს საქართველო, თვისთა ჩვეულებით კეთილშობილებრივი გულკეთილობითა, რომლით უქმად არა გაატარებს შრომასაც ამისა ჩვენს, რომელნი რადგან ვართ მარად მსურველნი და მეძიებელნი ბედნიერებისანი, ხილვით, რომელ შრომითა ამითა ჩვენითა სარგებლობს საქართველო დიდათ განცხრომათა ყოფათ არს იგი ჩვენთვის.“

2, „წმინდანების ცხოვრება ქმნილი სომხურს ენაზე არქიმანდრიტის ლუკა ინჯიჯიანის მიერ; თარგმნილი და გამოცემული ქართულსა ენასა ზედა, ვენეტიკს, 1859 წ. წმ. ლაზარეს მონასტრის სტამბაში“. კრებული წიგნია. ამასვე უთარგმნია ივანეს ეზოპისი და დაუბეჭდიათ ვენეტიკს ორ ტომად 1859 წ. ყველა ეს წიგნები დაბეჭდილია სუფთად, თავის დროის კვალად ძალიან ლამაზადაც-კი, მხოლოდ ენა არ ვარგათ მცირედ და ამას არც თვით მთარგმნელი ჰმალავს, წინასიტყვაობაში ბოდიშს იხდის.

მოძღვარს ივანე მამულაშვილს სხვა ნაწერებიც ბევრი ჰქონია, მაგრამ დაბეჭდვა არა ჰღირსებია. უმეტესი ნაწილი ამ ნაწერებისა აქა-იქ განბნეულა: ვენეციასა, კონსტანტინეპოლსა და ახალციხეს. თვით ივ. მამულაშვილი გარდაცვლილა 1884 წ. საკმარისად მოხუცი. განსვენებული ყოფილა პატიოსანი მფარველი ქართულის ენისა და ქართველ-კათოლიკეთა ჭეშმარიტი წარმომადგენელი.

ზ. ჭ.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო წიგნაკი: „ცხოვრება ღირსისა ალექსის ღვთის კაცისა“, მეორედ გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამიძის მიერ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 ოქტომბერი

პეტერბურგი. შავი ჭირის საწინააღმდეგო კამისიისაგან: სამარყანდის ოლქის სოფელ ანზობში საშიშარ სენის გაჩენის გამო, კამისიის თავმჯდომარე მისი უმაღლესობა პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგისა სამარყანდს წავიდა ღონისძიებათა მისაღებად, სენი რომ არ გავრცელდეს. 18 ოქტომბერს, ლივადიაში, მისს უმაღლესობას გარდაეცა უმაღლესი დარიგება თუ როგორ უნდა შეასრულოს მინდობილობანი. მივიდა რა 26 ოქტომბერს სამარყანდში, კამისიის თავმჯდომარემ ნახა, რომ ანზობში უკვე საავადმყოფოა, და რიგისამებრ არის შეზღუდული, სხვა სოფლების მხრივ, ამასთანავე საექიმო სათვალ-ყურე ადგილებია დანიშნული ახლოს მდებარე სოფლებში მარღიფსა და ტაშფანში. ადგილობრივ მკურნალთაგან სენი აღიარებულია მუწუკებიან შავ ჭირად. უფრო ზედმიწევნით გამოსარკვევად და ყველა საქმის უფრო რიგიანად დასაყენებლად, ანზობში გაგზავნილია სპეციალისტი—ბაქტერიოლოგი,დოცენტი საიმპერატორო სამხედრო აკადემიისა, მედიცინის დოქტორი ლევკინი. რომელმაც ინდოეთში შეისწავლა შავი ჭირი. გენერალ-გუბერნატორისა, სამხედრო გუბერნატორისა, ბუხარაში საპოლიტიკო აგენტისა, ადმინისტრაციის მოხელეთა და ექიმთა აზრის მოსმენის შემდეგ შემდეგი ღონისძიებანია მიღებული:სენიან ადგილის გარშემო არსდება საექიმო სათვალ-ყურე ადგილები იმ ანგარიშით, რომ მომავალში ანზობიდგან სენი არ გადვიდეს თურქესტანის მხარეს და ბუხარისაკენ; მსწრაფლ მოსიარულე საექიმო რაზმებმა განუწყვეტლივ უნდა ათვალიერონ სხვა-და-სხვა ადგილები ბუხარასა, ხივასა, კასპიის იქითა ოლქსა და თურქესტანის მხარეში. ევროპის რუსეთი რათა უზრუნველ ყოფილ იქმნეს სენის შეტანისაგან, სამკურნალო მეთვალ-ყურეობაა დადგენილი კასპიის იქითა მხრის და ადიჯანის რკინის გზებზედ, კრასნოვოდკში, კასპიის ზღვის ნაპირებზედ და ასტრახანში; მეტი ყურადღებაა მიქცეული კასპიის ზღვისა და მდინარე ამიურ-დარიის გემების სისუფთავეზედ; ყოველ შემთხვევისათვის იმპერიის მთავარ ქალაქებში სათადარიგო ექიმები, ფერშლები და ბებია ქალები არიან მოწვეულნი, რომელთაც ჯერ თავიანთ საქმეს არ აშორებენ, მაგრამ პირველ საჭიროებისთანავე დანიშნულს ადგილს უნდა წავიდნენ; სათადარიგოდ ჩარიცხულნი არიან ჯერ 100 ექიმი და 80 ფერშალი ქალი; მსურველნი კიდევ ეწერებიან. იერსენის მიერ გამოგონილი ასაცრელი მასალა ბლომად არის; აგრეთვე მასალა ხავკინისა ინდოეთიდგან არის გამოწერილი და რამოდენიმე მზადდება საექსპერიმენტო მედიცინის საიმპერატორო ინსტიტუტში. ექიმებს მიწერილი აქვთ ხალხს დარიგება მისცენ აცრის შესახებ და ვინც მოისურვებს, დაუბრკოლებლივ აუცრან.

ანზობში 3 ოქტომბრამდე 357 მცხოვრებთაგან 219 მოკვდა; მას შემდეგ 21 ოქტომბრამდე ავად გახდა 19; მოკვდა 14; ეხლა ავად არის 14. უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში—22 და 23 ოქტომბერს— არავინ გამხდარა ავად.

ახლო-მახლო სოფლებში და სამარყანდის ოლქისა და ბუხარის დანაშთენს ადგილებში მშვიდობიანობაა.

ვაშინგტონი. გუშინდელ არჩევნებზედ წარმომადგენელთა პალატისთვის 180 რესპუბლიკელია არჩეული და 165 დემოკრატი, ვერცხლის ფულის მომხრე რესპუბლიკელი და სხვანი. სენატში რესპუბლიკელთა უმრავლესობაა არჩეული.

პარიჟი. გაზეთები გვარწმუნებენ, რომ ადმირალთა კრებამ გარდასწყვიტა, ხვალიდგანვე 100 სათადარიგო გემი მზად იყვეს ზღვაში გასასვლელადო.

კანეა. შაქირ-ფაშას მოსთხოვეს, რომ 15 (3) ნოემბერს ოსმალეთის ყველა ოფიცერმა, ჯარის კაცმა და ჟანდარმა, აგრეთვე სუდაში მყოფ სამხედრო გემებმა უთუოდ დასტოვონ კუნძული. ოსმალეთის სამხედრო მასალას, რომელიც კუნძულზე დარჩება, ადმირალები ჩაიბარებენ. ოსმალეთის დროშას ჩამოიღებენ.

ჟენევა. ლუკენის გასამართლება დაიწყო. ის უარს ამბობს, რომ ამ საქმეში თანაზიარი არავინ მყოლიავო, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ ავსტრიის იმპერატრიცის მოკვლა მარტო იმისი საქმე არ ყოფილა.

განჩინება გამოაცხადეს: მთელს სიცოცხლეში ციხეში დამწყვდევა.

პარიჟი. ესპანია ამერიკის კამისია. ამერიკელების მიერ წარდგენილი ქაღალდი უარსა ჰყოფს ესპანელების წინადადებას;ამერიკელები ისევ უარს ამბობენ—კუბის ვალს ჩვენ ვერ ვიკისრებთო და ფილიპეს კუნძულების შეერთებას თხოულობენ, რაზედაც ესპანელები არ სთანხმდებიან.

წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ყველას, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტს გრ. ამბაკოს ძეს მახარაძეს. სია შემომწირველთა დაბა ოჩემჩირეში:

მღ. ბლაღოჩინმა დიმიტრი მარღანიამ 1 მ., მღ. პორფილე ხელაიამ 1 მ., მღ. ბართლომე ხარებავამ 1 მ., მღ. ნესტორ ნოდიამ 1 მ., გიორგი სოლ. აბაშიძემ 1 მ., სპირიდონ ლ. ნარაკიძემ 1 მ., ექვთიმე ორაგველიძემ 1 მ., ლიდია ივან. გოგიტიძემ 1 მ., ელისაბედ შუბინმა 1 მ., პანჯო ივანიდისმა 1 მ., ტაგუ ბაკურავამ 1 მ., დიაკონმა ესტატე კვირკველიამ 50 კ., მღ. გაბრიელ რომანოვმა 48 კ., თავ. კოტე აბაშიძემ 50 კ., ფარნა დავითაიამ 50 კ., ანდრია ქურციკიძემ 50 კ.. ილია მოს. პილაევმა 60 კ., გრ. სარიშვილმა 50 კ., თომა გუჯაბიძემ 50 კ., სვიმონ ტრაპაიძემ 40 კ., ისიდორე ვადაჭკორიამ 40 კ , თავ. პლატონ ენუხვარმა 40 კ., ყარამან ჯავახიამ 40 კ., აზ. ქეშვარდი კეკელიძემ 30 კ., ივანე ტაბიძემ 30 კ., გიორგი რურუამ 30 კ., ივანე გეგიამ 25 კ., მარკოზა გვალიამ 40 კ. სულ 18 მ. 23 კ. ეს ფული უკვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

ექვთიმე ივ. თოდრაძე

განცხადებანი

„Грѣхи Молодости“
ПОУЧИТЕЛЬНОЕ СЛОВО КО ВСѢМЪ, РАЗСТРОИВШИМЪ СВОЮ НЕРВНУЮ СИСТЕМУ ОНАНИЗМОМЪ И РАСПУТСТВОМЪ.
Соч. Д-ра ЛОРЕНЦЪ.
Русское изданіе Д-ра Б—а.
цѣна 1 руб.
Эта полезная книга содержитъ множество совѣтовъ, какъ избавиться страдающимъ отъ вредныхъ послѣдствій вышеозначенныхъ пороковъ и возстановить разстроенныя силы и здоровье. Книга эта разрѣшена Москов. Цензурнымъ Комитетомъ.
Складъ изданія только у ОТТО АСПЕРГЕРА ВЪ ЛЕЙПЦИГѢ (Саксонія). Иногородные за почтов. пересылку не платятъ.
(12—მ.—2)

ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ.
ВЫСОКІЯ ДОСТОИНСТВА НАШИХЪ ИЗОБРѢТЕНІЙ:
Цвѣточнаго о-де-колона,
Глицериновой пудры,
усовершенствов. Глицериноваго мыла
и парфюмеріи „Персидская сирень“,
вызываютъ массу подражателей, что и вынуждаетъ насъ просить гг. покупателей обращать вниманіе на нашу фабричную марку и фирму.
БиКа БиКа
БРОКАРЪ и Ко
ВЪ МОСКВѢ.
ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ.
1864 г. 1864 г.
(11—მ.—2)

გამოვიდა წიგნი
тифлисское церковное
ДРЕВЛЕХРАНИЛИЩЕ
და ისყიდება სიონის სიძველეთ-საცავსა და წერა-კითხვის მაღაზიაში.
ფასი 20 კაპ.
სიძველეთ-საცავი ღიაა კვირაობით
შესვლის ფასი 20 კაპ. (10—მ.—5)

დაიბეჭდა და ისყიდება
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:
1) **კრილოვის არაკები,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.
2) **ამოდის, ნათდება!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი ქალი ი. გოგებაშვილის 5 კ.
3) **ვეფხის-ტყაოსანი,** ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანის მიერ. სურათებით. გამოცემა მეორე, შევსებული და შესწორებული, ფასი 25 კ. (10—უ.—5)

„ღამე მშვიდობისა“
განსაკუთრებულ ღირსების ფხვნილი მწერების დასახოცად.
შეუდარებელი რამ არის ეს „რ. კელერისა და ამხ.“ მოსკოვის ქარხანაში დამზადებული ფხვნილი. ისყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან. (Спокойной ночи!) (3—მ.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 29 го Октября 1898 г
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ჭავჭავაძე ილია